წარმოდგენილი მოსაზრებების
საპასუხო შემაჯამებელი დოკუმენტი

საქართველოს კომერციული ბანკების სარეზოლუციო მზაობის პროექტი (P171039) გარემოსდაცვითი და სოციალური ვალდებულებების გეგმა (გსვგ)“ საქართველოს ეროვნული ბანკის ვებგვერდზე, საჯარო კონსულტაციებისათვის, 2026 წლის 26 მარტს გამოქვეყნდა და კომენტარების მიღების ვადად 2026 წლის 8 აპრილი განისაზღვრა.

მითითებულ პერიოდში ეროვნულმა ბანკმა, დადგენილი ფორმის მეშვეობით, მოსაზრება მიიღო ერთი სუბიექტისგან - საქართველოს ბანკისგან. მის მიერ მოწოდებული კომენტარი გასაჯაროვდება ეროვნული ბანკის ვებგვერდზე.

<u>საქართველოს ბანკის კომენტარი:</u>

- ზოგადი შეკითხვით, საქართველოს ბანკმა მიუთითა, რომ წარმოდგენილი პროექტის შინაარსი მთლიანობაში განსაზღვრავს ეროვნული ბანკის პასუხისმგებლობას გარემოსდაცვითი და სოციალური ვალდებულებების გეგმის პროექტიდან გამომდინარე ქმედებების შესრულებასთან დაკავშირებით.
- ამასთან, საქართველოს ბანკმა ითხოვა დაზუსტება, რომ გსს 10.4-ით გათვალისწინებული მოთხოვნის გარდა, წარმოდგენილი პროექტი კომერციულ ბანკებს სხვა ვალდებულებებს არ აკისრებს.

<u>ეროვნული ბანკის პასუხი:</u> *წარმოდგენილი პროექტით გათვალისწინებული ღონისძიებების განხორციელებაზე პასუხისმგებელ უწყებად განსაზღვრულია საქართველოს ეროვნული ბანკი. შესაბამისად, აღნიშნული დოკუმენტის ძალაში შესვლის შემთხვევაში, მასში განსაზღვრული ღონისძიებების შესრულება საქართველოს ეროვნული ბანკის იურიდიული ვალდებულება გახდება.*

ამასთან, გსს 10.4 ითვალისწინებს მოთხოვნას რელევანტური კომერციული ბანკებისთვის, რეზოლუციის გეგმის მომზადების ფარგლებში წარმოადგინონ და მუდმივად განაახლონ პრაქტიკულად გამოყენებადი საკომუნიკაციო მასალები. საქართველოს ეროვნულმა ბანკმა რეზოლუციის გეგმების

მომზადების პროცესში უნდა უზრუნველყოს კომერციული ბანკების სათანადო ჩართულობა, კერძოდ, კომერციული ბანკის რეზოლუციის შემთხვევაში საკომუნიკაციო გეგმის მომზადების ნაწილში. ამ პროცესში კომერციული ბანკებისგან მოთხოვნილი იქნება პრაქტიკულად გამოყენებადი საკომუნიკაციო მასალების, სტრატეგიისა და შესაბამისი მიდგომების წარმოდგენა საქართველოს ეროვნული ბანკისთვის, რაც, თავის მხრივ, ჰარმონიზებული უნდა იყოს საქართველოს ეროვნული ბანკის მიერ შესაბამის ვითარებაში განსაზღვრულ საკომუნიკაციო სტრატეგიასთანაც. ამ კუთხით ეროვნული ბანკის მოლოდინია, რომ შესაბამისი კომერციული ბანკები აქტიურად შეასრულებენ მოთხოვნას რეზოლუციის რეჟიმის საკომუნიკაციო გეგმების შემუშავების ნაწილში.

ამრიგად, წარმოდგენილი დოკუმენტი, გსს 10.4-ის ნაწილში წარმოშობს მოთხოვნებს როგორც საქართველოს ეროვნული ბანკისთვის, ასევე შესაბამისი კომერციული ბანკებისთვის და განსაზღვრავს მათ მიერ განსახორციელებელ ქმედებებს. შესაბამისად, მხოლოდ გსს 10.4-ით გათვალისწინებული ჩანაწერი არაპირდაპირ უკავშირდება კომერციული ბანკებისთვის განსასაზღვრ მოთხოვნას და ჩართულობას.